ეროვნული ბიბლიოთეკა

1877—1893 წ.

ივერია

გაზეთი ღირს

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12 . . .	10—	6 . . .	6 —
11 . . .	9 50	5 . . .	5 50
10 . . .	8 75	4 . . .	4 75
9 . . .	8 —	3 . . .	3 50
8 . . .	7 25	2 . . .	2 75
7 . . .	6 50	1 . . .	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური

№ 259
სამშაბათი 30, ნოემბერს 1893

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21
ტფილისი
გაზეთის დასაკვეთად
და განცხადებათა დასაბეჭდად:
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 1 დეკემბერს,
ბენეფისი
კ. დ. ყიფიანისა
ქ.ქ. საფაროვი-აბაშიძის და გაბუნია-ცაგარლის მონაწილეობით
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის-მიერ
წარმოდგენილი იქნება:
I
ხათაბალა
კომ.5 მოქ., გ. სუნდუკიანცისა
II
მოტია
ვოდ. 1 მოქ.
მონაწილეობას მიიღებენ: საფაროვი-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, მაქსიმიძისა, ყიფიანი, აწყურელი და სხ.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი სწორედ $7^1{}_2$ საათზედ

ვკისრულობ

ყოველ გვარ **სისხლისა და სამოქალაქო სამართლის საქმეებს** სახელმწიფო დაწესებულებანში საწარმოებლად, ვწერ ყოველ გვარ **არზებს**, ვტვირთულობ აგრეთვე **მამულების** ბანკებში **დაგირავებას** და სხ.

მსურველთ მოგვმართონ დილის 8—10 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ჩუღურეთი, პანასევიჩის ქუჩა, სახლი ქობულაშვილისა, 17.

(10—8)

ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა
შუამავალი
ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამა ამხანაგობის ხაზინადრად დანიშნულია ბ-ნი ადამ ბერულაშვილი (მიხეილის ქუჩა, ღვინის სავაჭრო „მელიანი“) და ვისაც ჰსურს წევრად ჩაწერა, უნდა განწესებული საწევრო გარდასახადი წარადგინოს ანუ თვით ხაზინადართან და ანუ მის გარდასაცემად „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში. (2—2)

ტფილისი, 30 ნოემბერს

—

არც ერთი ნაწილი არ არის მთელს რუსეთის კანონ-დებულებაში ისე ცუდად დაყენებული, როგორც საგამომძიებლო საქმე. ამის შესახებ არა ერთხელ თქმულა საჩივარი რუსულს მწერლობაში და ამას წინად ხმაც-კი გაისმა, ვითომ უმაღლესს მთავრობას განზრახვა აქვს ეს ნაწილი კანონ-დებულებისა შესცვალოს, შეავსოს და უკეთესად შეიმუშავოსო. ეს ნაწილი კანონისა თითქოს კანონს გარეშე არსებობს. მთელი მეორე ნაწილი სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდებისა გამოძიებასა აქვს დათმობილი. ჩაათვალიერეთ ამ წესდების 262-დგან მოკიდებული 277 მუხლამდე და დარწმუნდებით, რომ გამომძიებელს დიდი უფლება აქვს მინიჭებული და კანონი იმის პირადს შეხედულობასა და აზრს დიდს მოედანს უთმობს ფრთის გასაშლელად. გამომძიებელს შეუძლიან თავისის უფლებით სამართალში მისცეს ყოველი ადამიანი, გამოძიება დაიწყოს, დააპატიმროს, შემდეგ გამოძიება მოსპოს და ამ მოქმედებას ისეთი ზღვარი და კიდე არსად არა აქვს დადებული, რომ გამომძიებელი ამ ზღვარმა კანონის მიერ შემოფარგლულ წრეს შუა ამყოფოს და საქმეს ანგაარების ხასიათი არ დაადებინოს.

მართალია, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მე-265 მუხ. ავალებს გამომძიებელს, რომ „გამოძიების დროს სასამართლოს გამომძიებელი ვალდებულია სრულის პირუთვნელობით მოიყვანოს ცნობაში როგორც ბრალდებულის გამომამშკარავებელნი გარემოებანი, ისე გამამართლებელნიცაო“, მაგრამ რა იცავს ამ მუხლს კანონისას, რა აძლევს ძალას, ვინ არის გამომძიებლის ადვირის დამჭერი, ასე რომ არ მოიქცეს? გამომძიებლის უსამართლობისაგან დაზარალებული ბრალდებული იშვიათად შეიძლებს ამ უსამართლობასთან გამკლავებას, დამცველისა და ვექილის ყოლა-კი ბრალდებულს არ შეუძლიან, ვიდრე იმისი საქმე გამომძიებლის ხელში არ დამთავრდება და სასამართლოს არ გადაეცემა გასარჩევად და განსახილველად.

გამომძიებლის მოქმედება რომ ხშირად სიმართლეზედ არ არის აგებული, ამას აშკარად ამტკიცებს სასამართლოში წარმოებული საქმეები, სადაც მოწმეებისაგან ჩამორთმეული ჩვენება ზოგჯერ სრულიად ეწინააღმდეგება იმათგანვე ჩამორთმეულს ჩვენებას, გამომძიებლის მიერ პირველ გამოძიების დროს ჩაწერილს. სამწუხაროდ, ჩვენში კი არა, ბევრგან სხვაგანაც ჯერ წერა-კითხვის ცოდნა და განვითარება იქამდე არ არის მიღწეული, რომ ბრალდებულმა თითონ ადევნოს გამომძიებლის მოქმედებას თვალ-ყური და გაიგოს მნიშვნელობა თითოეულის ჩაწერილის სიტყვისა და გამომძიებლისათვის-კი კმარა მცირეოდენი საქმის გახრა, რომ გამოძიებას სულ სხვა იერი და ფერი დასდოს. იქნება კიდეც ეს იყოს მიზეზი იმ გარემოებისა, რომ ხშირად სასამართლოში ჩამორთმეული ჩვენება მოწმეთაგან სრულიად ეწინააღმდეგება გამომძიებლის მიერ ჩამორთმეულს ჩვენებას. რასაკვირველია, ბევრჯელ შეიძლება თვით მოწმემვე შესცვალოს თავისი ჩვენება, მაგრამ გამომძიებელსაც შეუძლიან ესა და იმის სამართლიანობისა და უანგარობის თავმდები კი კანონში არა არის-რა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ მოწმეების ჩვენებას, გამომძიებლის მიერ ჩამორთმეულს, მეტი ძალა და მნიშვნელობა მიეცემოდა და სასამართლო ბევრჯელ იძულებული არ შეიქმნებოდა ახალის ჩვენების ჩამორთმევით სრულიად გაექარწყლებინა გამომძიებელთა მიერ ჩამორთმეული ჩვენება. მართალია, ოლქის სასამართლო და სამოსამართლო პალატა ვალდებულია მეთვალყურეობა იქონიოს გამომძიებელთა მოქმედებაზედ, მაგრამ ეს მეთვალყურეობა თვალ-დახუჭულია და, კანონის ძალითვე, მხოლოდ მაშინ ახელს თვალს და მაშინ იფხიზლებს, თუ გამომძიებლის უკანონო მოქმედებით დაზარალებულმა საჩივარი შეიტანა. კარგი, მაგრამ, კვლავ ვიმეორებთ, ბევრს-კი შეუძლიან მერე გამომძიებლის უკანონობას გაუმკლავდეს, მით უმეტეს, როდესაც ბრალდებულს უფლება არა აქვს კანონის მცოდნე კაცი მიიმხროს შემწედ და მფარველად და თითონ-კი იმდენი ცოდნა არ შესწევს, რომ კანონიერობისა და უკანონოების გარჩევა შეეძლოს?!.

ძირეულად შეცვლა საგამომძიებლო საქმისა, რასაკვირველია, აგრე ადვილი არ არის და დიდს დროსა და შრომასა თხოულობს, მანამდე-კი კარგი იქმნებოდა ის ცვლილება მაინც შეეტანილიყო ამ საქმეში, რომ ბრალდებულს ნება მისცემოდა დამცველი და ვექილი ჰყოლოდა გამოძიების დროსაც და ამ ვექილის წინაშე წარმოებულიყო ყოველივე მოქმედება გამომძიებლისა როგორც მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევისა, ისე ბრალდებულის გამოკითხვის შესახებ. მცოდნე კაცის მონაწილეობა გამომძიებლის თვითნებობასა და სამართალის სასწორის ერთისა ანუ მეორე მხრისაკენ გადახრას ფრთას შეაკვეცდა და ამით გამოძიებას უფრო უმეტესი სიმართლის ფერი დაედებოდა. სისხლ. სამართ. წარმ. წესდების მე-476 მუხ. ამბობს, რომ გამომძიებელი ვალდებულია, თუ ბრალდებულმა ითხოვა, მთელი გამოძიება წარუდგინოს, როდესაც დაამთავრებსო. კარგი, მაგრამ კანონების არ-მცოდნე ბრალდებულმა, თუ ვექილი არა ჰყავს, რა იცის ან ამ თავისის უფლებისა და ან რა გაიგოს გამოძიებულ საქმის ავ-კარგიანობისა?.. კანონი ბრალდებულს, გამოძიების მიერ დაპატიმრებულს, ზოგიერთს უფლებას ანიჭებს, მაგალითებრ, იმავე წესდების მე-496 მუხლის ძალით, შეუძლიან უჩივლოს გამომძიებელს, თუ უკანონოება რამ შეამჩნია, მაგრამ ბრალდებულმა ხშირად არა იცის-რა ამ კანონის მიერ მისდა მინიჭებულ უფლებისა და ან, თუ იცის, ცოდნა არ შესწევს ამ უფლების გამოსაყენებლად. ამის გამო სამართლიანობა თხოულობს, რომ ბრალდებულს გამოძიების დროსაც მცოდნე კაცი ჰყავდეს შემწედ, რომ გამომძიებლის შესაძლებელს მიკერძებას კანონი დაუყენოს წინ ფარად და გამოძიება უფრო წე-

ფელეტონი

—

მანგანეზის ანუ შავი-ქვის წარმოება საქართველოში ხალხის მომავალ კეთილ-დღეობასთან დაკავშირებით

შავი-ქვის გაჩენის მიზეზი ბუნებაში ძნელი გამოსაკვლევია. შესაძლებელია შავი-ქვა იყოს ქიმიური შედეგი იმ კლდეებისა, რომელიც მის ახლო იპოვება დედამიწაში. დარწმუნებით მხოლოდ ის ითქმის, სხვა-და-სხვა გეოლოგიურ მოსაზრების საფუძველით, რომ შავი-ქვა უნდა იყოს ნალექი იმისთანა მცირე მლაშიან ზღვის ძირში, როგორიც არის შავი და კასპიის ზღვა. სხვა-და-სხვაგვარი გაქვავებული ცხოველები, მცხოვრებნი ამ გვარ ზღვებში, მეტადრე თევზის კბილები, ხშირად შეგხვდებათ შავი-ქვის მიდამოებში.

სივრცე იმ შავ-ქვიან ადგილებისა, სადაც-კი შეიძლება მუშაობა, 126 ოთხ-კუთხი ვერსი-კი არ არის, როგორც სწერენ გაზეთებში, არამედ 40 ვერსია. ჩვენის გამოზომითა და ანგარიშით სამ ოთხ-კუთხ საჟენიდგან გამოდის ერთი კუბიკური საჟენი გაწმენდილი შავი-ქვა, მაშასადამე ერთ ქცევიდგან, ანუ 900 ოთხ-კუთხ საჟენიდამ გამოვა 300 კუბ. საჟ.; მთლად ამ რაოდენობის შემუშავება, რასაკვირველია, შეუძლებელია. საჭიროა ერთი მესამედი მაინც გამოვაკლოთ, რადგან მღვიმე-მაღაროებია საკეთებელი და ამას ადგილი უნდა, რათა არ ჩამოინგრეს და ადვილი სამუშაო იყოს მაშასადამე, საზოგადო რაოდენობას უნდა გამოვაკლოთ 100 კუბიკური საჟ.; დანარჩენი შეადგენს 200 კუბ. საჟ. წმინდა შავ-ქვას. ორმოცი ოთხ-კუთხი ვერსი შეადგენს 11,080 ქცევას, რომლიდგანაც გამოიღება 2,216,000 კუბ. საჟ. წმინდა ქვა. ერთი კუბიკური საჟ. შავი-ქვისა იწონს 1400 ფუთს, მაშასადამე 2,216,000. 1400=3092 მილიონი ფუთი შავი-ქვა არის აქ დამარხული დედამიწაში.

სასტატისტიკო ცნობებით*) 1879 წლიდგან ვიდრე 1892 წლამდე გატანილია საქართველოდგან 49 მილ., დარჩება 3043 მილ. შემდეგში, რომ ყოველ წლივ გავიტანოთ 20 მილ., დანარჩენი ქვა გვეყოფა 151 წელიწადს! მაგრამ ნუ გავიოცებთ ამას და ვიფიქრებთ, რაღა გვიშავსო, რადგან ქვის თვისება მადნების შუა მანძილიდგან ანუ ჭიათურიდგან, თანდათან, ნელ-ნელა, ფუჭდება რკინეულ ქვიშნარისაგან და კირნარისაგან, რომელიც ერევა შავ-ქვას. თვით გვირაბებიც, შემდეგში, შორს წავა მიწაში. ამის გამო გამოღება მანგანეზისა გაძვირდება, მოითხოვს სატეხნიკო მოწყობილობას და სხვ. ამ პირველ ათს წელიწადს-კი, რასაკვირველია, ასეთი გაჭირება არ მოგველის.

მადნის მუშები, რიცხვით 3000 კაცამდე, უმეტეს ნაწილად ახლო სოფლებიდგან მოდიან, თუმცა უკანასკნელ დროს ბევრნი მოვიდნენ ალავერდელი და ტრაპიზონელი ბერძნებიცა, აგრეთვე ოსმალნი, წამოსულნი თავიანთ მწირ ქვეყნიდგან სარჩოს საშოვნელად; ამ შორეულ მხრიდამ მოსულებს უჭირდებათ მოცილეობა გაუწიონ ქართველ მუშებს, რომლებსაც ხორაგი მოაქვთ შინიდგან და არა ბაზრიდგან, როგორც პირველები სჩადიან. აქაურ მუშებს ხშირად უბრალო ფიცრული სახლები უდგათ, შიგ ჰხარშვენ თავიანთვის შეჭამანდს, აცხობენ ჭადს და ასემიდიან იოლად. მჟავე იმერული ღვინო საკმაოდა აქვთ შინიდგან მოტანილი. სამწუხაროდ და მწარმოებლების სამარცხვინოდ, ამისთანა სახლებს იშვიათად შეხვდებით; უმეტეს ნაწილს მუშებისას ნოტიო გვირაბებშივე სძინავთ. საჭიროა მეტი ყურადღება ჰქონდეთ მიქცეული იმათაც, ვისის მარჯვენის წყალობით სიმდიდრეს იძენენ შავი-ქვის მწარმოებელნი.

თითო დადგმულ კუბიკურ საჟენში 18—19—20 ვერშოკიან არშინით აძლევენ 30—50 მანეთს, მაშასადამე მუშაობა ნარდია და არა დლიური. ზოგიერთებს, (იხ „ნოვოე ობოზრენიე“ № 3296 სტ. ჟმუიდზინოვიჩისა), საშინელი არევ-დარეული ცნობები მოჰყავთ ამ წარმოებაზედ: იმათ ჰგონიათ, როცა ჰხედავენ 19 ვერშოკიან არშინს, რომ მუშებს ატყუილებენ ზომაშიო,—არავითარი მოტყუება არ გახლავთ, მუშამ კარგად იცის, რომ სახელმწიფო „ნაბეჭდ“ არშინში 16 ვერშოკია, რომ საჟენის დადგმა თექვსმეტ ვერშოკიან არშინით უფრო ნაკლებ დღეს მოითხოვს, ვიდრე თვრამეტ და ოც ვერშოკიან არშინით, მაგრამ სდგავს ასეთს საჟენს, იმიტომ რომ მეტი ეძლევა. საჟენების ზომაშიაც მუშები კარგად არიან დახელოვნებულნი,—იმათი მოტყუება შეუძლებელია. კაი მუშას დღეში რჩება 80 კ.—1 მ.; ზოგიერთებს, უმეტესად ბერძნებს, რადგან კარგად არ არჩევენ შავ ქვას, დღეში $1^1/_2$ მან. რჩებათ; ეს იყო მიზეზი, რომ ალავერდელი ბერძნები გამოიქცნენ ჭიათურაში იქაურ ქარხნიდგან, საცა ისინი სახლობენ და საცა დღის ნამუშავარში ეძლევათ

---

*) იხ. Сборникъ статистическихъ свѣдѣній о горнозаводской промышленности Россіи за 1892 г.

სიერად წარამართვინოს. რაც უფრო ადრე მიენიჭება ბრალდებულს ეს უფლება, მით უკეთესია.

დიოგენი

ახალი ამბავი

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა მასტიცკიმ გუშინ უბრძანა პოლიციის ბოქაულებს, აუკრძალეთ ქუჩებში ურმების გაჩერება, რადგანაც ურმები რომ ჩერდებიან ქუჩებში, ეტლების მისვლა-მოსვლა და ნამეტნავად ტრამვაისა შეუძლებელიაო.

⁂ ერევნის პოლიცმეისტერს ბ-ნ კახანოვსკის, რომელიც ერთმა ავაზაკმა ამ დღეებში დასჭრა, ერევნის გუბერნატორისთვის თხოვნა მიურთმევია, დამითხოვეთ ჩემის თანამდებობისაგანაო.

⁂ ოთხშაბათს, 1 დეკემბერს, $7^{1}/_{2}$ საათზედ დანიშნულია კრება კავკასიის სამკურნალო საზოგადოებისა. კრება მორიგ საქმეთა განხილვის შემდეგ მოისმენს ი. ი. მინკევიჩისა და ვ. მ. კარპეჩენკოს მოხსენებათ.

⁂ ტფილისის საზოგადო ბიბლიოთეკაში მოიპოვება ქართული წიგნები, გაზეთები და ჟურნალები, რაც კი 1860 წლის შემდეგ დაბეჭდილა. აქ ბევრი ისეთი გაზეთებია შენახული, რომელთა შოვნა სხვაგან ძნელია; ეს ბიბლიოთეკა, თუ პეტერბურგისას არ ვიანგარიშებთ, ერთადერთი წყაროა იმისათვის, ვისაც-კი ჰსურს ძველი ჟურნალ-გაზეთები გაიცნოს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ხშირად შეხვდებით ისეთს ნომრებს, საიდამაც ზოგიერთი ლექსები ამოჭრილია. ბიბლიოთეკარი დიდად სწუხს ამის გამო. არავითარ სხვა წიგნებს არ ეკიდებიან ისე უღვთოდ, როგორც ქართულსაო. ისე ოსტატურად სჭრიან თურმე, რომ კაცი ვერაფერს შეატყობს.

⁂ ამ მოკლე ხანში გამოვიდა ს. მდივანოვის ორ ნაირი კალენდარი. ფასი ერთისა 20 კაპ., მეორისა—10 კაპ. გამოვიდა კიდევ ახპატელოვის კალენდარი, ფასი 20 კაპ. ახლა იბეჭდება და გამოვა გუნიას ვრცელი კალენდარი, პატარა კალენდარი და კედლისა. პატარა სახალხო კალენდარი უკვე დაიბეჭდა.

მომავალ წელს, როგორც ამბობენ, ქუთაისში დაიწყებენ ორ-ნაირ კალენდრის ბეჭდვასაო.

⁂ გორი: 21 ამ გიორგობისთვისას აქ აკურთხეს მოციქულთა სწორის, ქართველთ განმანათლებელ წმ. ნინოს სახელობაზე ეკკლესია ამიერ-კავკასიის საოსტატო სემინარიისა. კურთხევას შემდეგ ამ სასწავლებლის საღმრთო სჯულის მასწავლებელმა მღვდელმა მ. ლაზ. ტურიევმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც პირველად განმარტა მაღალი მნიშვნელობა ტაძრისა და შემდეგ მოკლედ აღწერა ცხოვრება და მოღვაწეობა ქართველთ განმანათლებლის ქალწულ-მოციქულისა.

⁂ იქიდამვე: აქ ამ ჟამად ქართულ სცენის მოყვარულნი ამზადებენ წარმოდგენას. არჩეული აქვთ „ქოროღლი“, ანტონოვისა და ვ. გუნიას ვოდევილი „რაც არ გერგება, არ შეგერგება“. შემოსავალი დანიშნულია ორ ქართველ ღარიბ სტუდენტისათვის. იმედია, რომ ჩვენი საზოგადოება თავის თანაგრძნობას არ მოაკლებს ამ წარმოდგენას. წარმოდგენა იქმნება მომავალ ქრისტეშობისთვის 11-ს.

⁂ ს. არბო (გორის მაზრა): თქვენი მტერი იყოს ისეთს გაჭირვებაში, როგორშიაც ჩავარდნილია ამ ჟამად ჩვენი პატარა სოფელი. მოდის ზამთარი თავის ყინვითა და ქარაშოტებით და ჩვენს ბედობაზედ წკირი შეშა რა არის, ისიც-კი არსაიდამ მოიპოვება. საკუთარი ტყე არა აქვს სოფელსა და სახელმწიფო ტყეებიდამ „ლესნიჩი“ არ გვატანინებს არაფერსა. შარშან ქაღალდი მივართვით ბ-ნ ტფილისის გუბერნატორს და ვთხოვეთ—მოეცათ ნება აქვე ჩვენს ახლო მდებარე სახელმწიფო ტყეებიდამ ჩვენთვის საჭირო შეშა-ფიჩხის გამოტანისა, მაგრამ აქამომდე არავითარი სანუგეშო შედეგი არ მოჰყოლია ამ ქაღალდს. ვართ ამ ჟამად დაღონებულ დაფიქრებული! ერთის მხრივ გაჯავრებული „ლესნიჩი“ მუქარით თითს გვიქნევს: როგორ გაბედეთ ჩემზე საჩივრის შეტანაო, ხოლო მეორეს მხრივ მრისხანებით გვიახლოვდება ზამთარი და თან მოაქვს ჭვალი, სახადი, და ფილტვების ანთება.

⁂ ს. ერედვი (გორის მაზრა): დიდი ხანია, რაც ჩვენმა საზოგადოებამ გადასწყვიტა სამრევლო სკოლის გამართვა. ამ ორიოდე წლის წინად ხალხმა ქვიშაც მოზიდა, საძირკველიც გასჭრა, მაგრამ უცებ გამოტყვრა რაღაც მიზეზი და მზა-მზარეულ საქმის წინსვლა შეაჩერა... რა იყო ამის მიზეზი?.. რაღაც რაღაებსაც ასახელებენ, მაგრამ უმთავრესი მიზეზი-კი ვგონებ იმაში უნდა ვეძიოთ, რომ აქაურ მცხოვრებთა შორის ერთობაა დარღვეული... ამ სოფელში სცხოვრობენ თოთხმეტ კომლამდე ერთი გვარის და ერთი სისხლის თავადიშვილები. ამ ჟამად მთელი ეს გვარეულობა ორ, ერთმანეთზე გადამტერებულ ბანაკად არის გაყოფილი. სხვადასხვა საჩივრებით, მუშტითა და კეტებით, თოფითა და ხმალ-ხანჯლით ლამის ერთმანეთს სული ამოართვან. როცა აქლემები წაიკიდებიან, ხომ მოგეხსენებათ, რაც მოსდის კოზაკებს?!. და აი სწორედ ამის ბრალია, რომ აქაური უბედური გლეხ-კაცობაც თვის შორის ვერა რიგდება და ერთს საშვილიშვილო საქმეს დღევანდლამდე ვერ დასდგომია! როდესაც ერთნი იწყებენ რომელსამე საზოგადო საქმეს, მეორენი სცდილობენ, რომ ჩაშალონ როგორმე დაწყებული საქმე... რაღა თქმა უნდა, რომ ამ გვარ გარემოებათა შორის ვერავითარი კეთილი საქმე ფეხს ვერ მოიკიდებს!..

დამაკვირდი

ჭეშმარიტს სიყვარულსა და ბედნიერებაზედ იგივე ითქმის, რაც მოჩვენების შესახებ: ყველა იმათ ხსენებაშია, მაგრამ იშვიათად თუ უნახავს ვისმე.

ლაროშფუკო

**

რამდენჯერმე განმეორებული ცოდვა სირცხვილის გრძნობას აქვავებს.

შილერი

**

დიდად ვწუხებით, როდესაც მტერი მოგვატყუებს, ან მეგობარი გვიღალატებს ხოლმე, ჩვენვე ჩვენ თავს-კი უფრო ხშირად ვატყუებთ და ეს გარემოება სრულიად არ გვაწუხებს.

ლაროშფუკო

⁂

(კინტოსებური)

რადა, ძმაო, სხვა რჯულად რად მექცევი?..
კაცი შენ ხარ, რაკი სხვა ენა იცი?..
მე-კი აღარც ნამუსის ქუდი მხურავს,
არ გამივა არც მართალი, არც ფიცი?!.

—

უმიზეზოდ პირში რომ სიტყვას მიკლავ,
ჩემმა ენამ ვის რა ვირი მოჰპარა?..
სამართალს სჭრი, ჩემებრ მალაპარაკე,
სხვა ენაზედ როგორ რა უნდა ვსთქვარა!..

—

თუ სხვას გეტყვი, მტყუანსაც გამამართლებ,
თუ არა-და, კაცი ვხდები პატარა...
არა, ძმაო, ე მაგეთის სასწორით
ღმერთსა ვსთხოვ, რომ ერთს დღესაც ნუ მატარა...

—

მე ეს ენა შობითვე დამყოლია,
დედის ხსენის ზედ ბეჭედი ასვია...
იადონის ჭიკჭიკსაც მირჩევნია...
სხვა ერთია, ჩემთვის ეს-კი ასია.

—

დანა არის ჟანგიანი, უტარო,
მაგრამ რა ვქნა, თუ-კი ჩემთვის მჭრელია
და ფიქრისა შიგ გულის მორევიდგან
მოყვრისაც და მტრისაც პირში მთქმელია?!.

—

კარგი ენა გაქვს, შენთვის შეინახე,
ნუ მომყიდი, თუ გაგიხდე მუშტარი...
სხვა ენაზედ მე არც თამასუქი მწამს,
არც დავთარი, ავგაროზი, უსტარი.

—

სხვისის ენის ლოცვა-კურთხევასაც-კი
ჩემთვისა სჯობს ამისი „ზახრუმალი“...
ვერ მივყიდი და გავუცვლი სხვას ვისმე,
თუნდა მომცეს ქვეყნის ოქრო და თვალი!..

—

ჩემი ენა უფლით ბოძებულია,
მირვნის ნაკურთხს წყალში ამოვლებული...
შიგ სცემს ჩემის სიცოცხლის დიდი ძარღვი...
ხანჯალია დროზედ ამოღებული.

—

ამ ენაზედ ვარ მღვდლისგან მონათლული,
ანდერძსაც ვსთხოვ ამითი წამეკითხოს...
ენის ღალატს დედა ცოლად შემერთოს
და იმ ქვეყნად ერთი ათად მეკითხოს!..

ორ-ანი

შეწირულობა

გაზეთი „Рус. Вѣд.“-ი იუწყება, საპატიო მოქალაქემ პ. ა. პავლოვმა 239 ათასი მანათი შესწირა მოსკოვის უნივერსიტეტსაო.

კორესპონდენცია

კახეთი (თელავის მაზრა), 25 ნოემბერი: ძალიან დაღონებულია აქაური მოჭირნახულე—მხვნელ-მთესველი და ისიც, ვინც მის მარჯვენას სიბრალულით შესცქერის. მიზეზი ის არის, რომ, რაც დღეს აქამომდე მოუხნავს, ლამის დასაფარცხი დარჩეს და, თუ დაფარცხა რამ, ისიც სანანურად აქვს გამხდარი, რადგანაც დათესილი მარცვალი ფრინველმა, თაგვმა და ჭიანჭველამ აიკლეს! ნაფარცხებში რომ გაიაროს ადამიანმა, ბიჯი-ბიჯ მარცვლის გროვას წააწყდება, ჭინჭველასგან დაქუჩეჩებულს. ბევრი ხურჯინ-გადაკიდებული დაიარება ნაფარცხში და ამ მწერისაგან საზამთროდ მოგროვილს მარცვალს ჰკრებს—ქათმისთვის მაინც გამომადგებაო! ყველა ამის მიზეზი გვალვაა, რომელიც ეს მესამე წელიწადია სულსა ჰხუთავს კახეთის პურის მოსავალს. აგერ ოთხი-ხუთი თთვე იქნება, რაც აქ ისეთი წვიმა არ მოსულა, რომ მიწა დაელბოს, თორემ აქამდე, როცა ანეულები გადამჯდარი უნდა იყოს და ნაოშად ნახნავ მიწებში ახლად ამოსული ჯეჯილები უნდა ღაღანებდეს, სწორედ აქამდე დაუფარცხაობა სად გაგონილა და ვის უნახავს?! ეხლა-კი ვის შეუძლიან ერთს გაჯეჯილებულს პურის მარცვალს

---

50 კაპ.

უმთავრესნი შავი ქვის მემამულენი იყვნენ თ. წერეთლები, ჩამომავალნი სახლთ უხუცესისა, რომლებსაც იმერეთის უკანასკნელ მეფეების დროს ნაბოძები ჰქონდათ დიდი უძრავი მამული საჩხერეს ახლო-მახლო. მათ შემდეგ შავ-ქვიან მამულების პატრონები იყვნენ და არიან წერეთლიანთვე დროებით ვალდებულნი გლეხნი, განთავისუფლებულნი შავის-ქვის აღმოჩენამდე. ბოლოს, იმის გამოურკვევლობის გამო, თუ ვის რა ეკუთვნოდა მამულებში, უსიამოვნება მოხდა გლეხთა და მებატონეთა შორის. თავადიშვილები, როგორც ყოველგან, ისე აქაც არ ჰზოგავენ თავიანთ მამულს, არ ჰფიქრობენ საშვილი-შვილოდ; გლეხები კიდევ უმეცრების გამო ვერ ხმარობენ თავის მამულებს წესიერად; ამიტომ შავ-ქვიანი ადგილები თანდათან გადადის მოსულ ხალხის ხელში. წარმოიდგინეთ, რომ ისევ ქართველების ხელში-კი გადადის და არა სომხებისა, ებრაელებისა და უცხოელებისა. მაგრამ არც-კი ქართველი ვაჭარი ჰზოგავს გლეხს, თუმცა განსხვავებაც არის ამას და სომეხს შორის; მამულების გაყიდვის დროს გეომეტრია არ არსებობს, ყოველს გვარს ადგილს ირკვლივ ზომავენ და ერთის ქცევის მაგივრად ქცევ-ა-ნახევარს, ან ცოტა მეტ-ნაკლებს იღებენ. სამზღვრებზედ ერთი აყალ მაყალი ატყდება ხოლმე; გაივლიან თუ არა გვირაბში 15—20 საჟენს, მაშინვე ებნევათ გზა, რადგან ანდამატის ისარი არა აქვთ და არავინ იცის, საით და სადამდე მიიმართება გვირაბი. ბოლოს მისწრებაზედ და ჩხუბზედ მიდგება ხოლმე საქმე და, როგორც ყველგან, მძლავრი სჩაგრავს ულონოს, ისე აქაც წვრილი მწარმოებლები და გლეხები უფრო ზარალობენ, ვიდრე მდიდრები. მართალია, გლეხნი ბევრჯერ იღებენ 2000-3000 მან. გაყიდულ მადნებში, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ეგ ფულია და არა სხვა რამე; ფული უმეცარ ადამიანის ხელში დროებითი და დამღუპავი სიმდიდრეა. მომავალი „შავქვიან“ სოფლებისა, რომლებიც გარეგან შეხედულობით ვითომ გაკეთდნენ, საიმედო არ არის: ვენახები, საკარმიდამოები და სასიმინდე მამულები ირღვევა, რადგან მათ ქვეშ გვირაბებია დათხრილი. შემუშავება ამისთანა ვენახებისა მეტის-მეტად ძნელდება; რომ შეიმუშაონ კიდეც, ორი იმდენი მცველები ჰოუნდებათ, რაც მცხოვრებლები არიან, თორემ ისე მუშებს ვერ შეაკავებენ. საზოგადოდ აქეთ მეტის-მეტი მოუსვენარი ცხოვრებაა. ახლო-მახლო ტყეები გაიჩეხა საგვირაბო ბიგებისათვის; ხალხი, როგორც ყოველგან, აქაც ჩვენის მტრების სამწუხაროდ, მრავლდება: რიცხვი დუქნებისა მატულობს, ფული ხელიდგან მიდის, ახალი სკოლები არ არსდება; ათ „შავქვიან“ სოფელზედ ერთი სკოლა. ჩვენის ფიქრით, ძალიან ადვილად შესაძლებელია, რომ ბოლოსა და ბოლოს თვით აქაურებს ხელში აღარა დარჩეთ-რა: აღარც მამული, აღარც შავი ქვა, აღარც მისი წარმოება, და აღარც ფული და აღარც განათლება. მკვიდრნი ისევ ისე ღარიბნი და გაუნათლებელნი დარჩებიან, როგორც შავი-ქვის მრეწველობამდე იყვნენ.

უმთავრესი შემოსავალი ჰქონდა ხალხს შავი-ქვის გადატანისა და გადაზიდვისაგან. ამ საქმეში იღებდნენ მონაწილეობას მთელი ზემო-ქართლი და ზემო-იმერეთი, მაგრამ რკინის გზის გაყვანის შემდეგ ეს შემოსავალი მოისპობა; დარჩება მარტო გატან-გადაზიდვა მადნებიდგან მხოლოდ ჭიათურამდე. რა არის დღიური ფასი ჩალვადრისა თავის ცხენით? ამაზედაც არევ დარეული ცნობები იყო „ნოვოე ობოზრენიეში“. ცხენი მადნებიდგან ჭიათურამდე რვა-ჯერ თავის დღეში ვერ მივა საპალნით; დიდის გაჭირებით 6 გზას ჩაიტანს, უმეტესად-კი 5 გზა ჩააქვს. ერთ საპალნეში, ორთა შუა რიცხვით 10 ფუთია; გატანის ფასი ფუთზედ 4 კაპ. ცხენის საკვებად გადავდოთ 70 კაპ, კაცი ღირს 80 კაპ, დარჩება წმინდა მოგება 50 კაპ. დღეში ერთ კაცს თავის ცხენით. ამ ფასსაც ცოტა რამ აკლდება უწესო წონის გამო. კარგს საპალნეს მუდამ 8—9—10 ფუთად იღებენ, თუმცა ნამდვილი წონა 12—13 ფუთია; ერთ ფუთს ჰრიცხავენ, ვსთქვათ გოდრებისას, სისველისას, დაპნევისას, ხოლო დანარჩენს რაღად ურიცხავენ, ამისი რა მოგახსენოთ. ურმებით გადატან-გადმოზიდვა უკვე მოისპო და აღარც განახლდება, თუ არ შეამცირეს რკინის გზის ტარიფი. ფუთზედ 10 კაპ. იღებენ ეხლა. ეს ძალიან დიდი ფასია, ისიც ოცდათვრამეტ ვერსის მანძილზედ. თუ ტარიფი არ შეამცირეს, მაშინ ჩატანა მადნებიდგან შორაპნამდე ეღირება 13—14—15 კაპ.; ამ ფასად მეურმეებიც გაუწევენ მოცილეობას რკინის გზას, მისდა სამარცხვინოდ, მეტადრე იმისთანა შიმშილობაში, როგორიც ეხლა შორაპნის მაზრაშია.

მთა-მადნის ინჟენერი
გ. დეკანოზიშვილი

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალი მოჰკრას კახეთში!..

ამდენი ცა-ღრუბლის ლოდინი მოეწყინა აქაურს მხვნელ-მთესველს, ჰფარცხავს უამინდოდ, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რა იმედით უნდა შესცქეროდეს ასეთ დროსა და ამინდზედ ნათეს-ნაფარცხს მოუსავლობისაგან გულ-გატეხილი ადამიანი! ერთიც ვნახოთ, დათესილი პური, რაც ფრინველსა და ჭია-ღუას გადარჩა, ეხლა დაასველოს, ახლა ყინვამ დააზროს, მერე გაზაფხულზე რასა ვნახავთ: ცარიელ მინდვრებს და, ჯეჯილის მაგიერ, უსარგებლო ბალახბულახს! ღმერთმა-კი გვაშოროს ამისთანა შედეგს, მაგრამ ეს ხომ საფიქრებელია და შესაძლებელიც.

ამ საშინელის გოლვისაგან წყლები დაშრა და წისქვილებიც დადგა. ხალხი შესწუხდა უნაფქვაობისაგან. ვისაც საქონელი მოეძევება, შორეულ, დიდ მდინარეებზედ გამართულ წისქვილებში მიეზიდება საფქვავს და ვისაც, საქონელს ვინ იჩივლებს, კაციც არა ჰყავს და ქვრივ-ობოლია, იმან რაღა ჰქმნას?!

ხანგრძლივი გოლვა ტყესაც დიდს ზარალს აძლევს. შარშან ტყეს ღორის საჭმელი არ ესხა. ამის გამო ღორი, თითქმის არც-კი შესულა ტყეში და ამიტომ ჯანდაგადაც დარჩა. წასულმა მძიმე ზამთარმა ასე მოუძლურებულ ღორსაც კლანჭი გაჰკრა და ბლომადაც გააწყო. წელს ტყემ ღორის საზრდო ნაყოფი უხვად მოისხა. ღორისა და უფრო მეღორის გასახარიც ეს არის. არც ტყის პატრონი ხარობს ამათზე ნაკლებ, მაგრამ იმის სიხარული მრავალჯერ მწუხარებითა გვირგვინდება, რადგანაც ის მეღორე, რომელიც მის ტყეს იჭერს, გაუფრთხილებელია და ზოგვა აგრე რიგად არ იცის, ბევრგან ცეცხლსს სტოვებენ გაუქრობლად. და ეს მისგან დატოვებული ცეცხლი, თუ ფიცხობა დაუდგა, ეკიდება გამხმარს ფოთოლს და მთელს ტყეს უტიალებს პატრონს. ეხლა კახეთში ბოლი ნისლივითა წევს. მრავალგან ეკიდება და უკიდია ტყეს ცეცხლი, რომელიც, ეჭვი არ არის, თუ ახლო ხანში წვიმამ არ დაანელა, უწყალოდ გადაჰბუგავს ტყეებს და ამით აუარებელს ზარალს მოუტანს ტყეების პატრონთაც და თვით ხალხსაც.

ფშაველიშვილი

წერილი ზემო იმერეთიდამ

თუმცა სწავლა-განათლების მხრით მთელი ზემო იმერეთი უკან ჩამორჩენილია ჩვენის საქართველოს სხვა კუთხეებს, მაგრამ ზემო იმერეთის ერთი ნაწილი, ხარაგაულის საბოქაულო-კი, იმერეთის სხვა ნაწილებთან შედარებითაც, უფრო გულ-გასატეხ მდგომარეობაშია. ამ საბოქაულოში შედარებით უფრო შეგნებული ხალხი სცხოვრობს რკინის გზის მახლობლად მდებარე სოფლებში. ამ სოფლებს ორი სკოლა აქვსთ და ერთსაც ეხლა აარსებენ. ერთი ამ სკოლათაგანი, სახელდობრ ხარაგაულისა, ადგილობრივ ბოქაულის ბ-ნ წერეთლის მეცადინეობით, ორ-კლასიანად უნდა გადაკეთებულიყო და კიდევაც დაადგინეს განაჩენი; მაგრამ გამოჩნდნენ ცრუ-ნასწავლნი, რომელთაც უმეცარი ხალხი მათთვის საწველ-საკრეჭად გაჩენილ ცხვრის ფარად მიაჩნიათ. ამ ვაჟბატონებმა გააჭრელეს თხოვნა, ჩამოატარეს სოფლებში და ნებით თუ უნებურად ბევრს მოაწერინეს ხელი იმაზედ, რომ სკოლა არა თუ ორ-კლასიანი, ერთიანიც არ გვინდაო. წერის უცოდინარებს არც-კი ჰკითხავდენ და ისე მათ მაგივრად წერის მცოდნეებს აწერინებდენ ხელს. თუმცა მთავრობამ ეს თხოვნა სულ უყურადღებოდ არ დასტოვა, მაგრამ იმედია, სიმართლე თავისას გაიტანს და სკოლა გაორკლასიანდება. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ ამ ცოტა ხნის წინად სკოლაში ბრძანდებოდა ბ-ნი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი, რომელიც ნასიამოვნები დარჩა შეგირდების ცოდნით. მასწავლებელმა უამბო ბ-ნს გუბერნატორს სკოლის თავგადასავალი, თუ როგორ დაადგინეს მეორე კლასის გამართვის შესახებ განაჩენი და ბოლოს ორიოდე კაცის მეცადინეობით, როგორ აირდაირია საქმე. ბ-ნმა გუბერნატორმა დაარწმუნა მასწავლებელი, რომ მე სკოლის შესახებ არ მივაქცევ ყურადღებას არავითარს საჩივარს და უსათუოდ მოკლე ხანში ორ-კლასიანად დავამტკიცებ თქვენს სკოლასაო. ამნაირად საბოქაულოს ერთ ნაწილს მკრთალი ნათელი მაინც მოეფინება სწავლა-განათლებისა, მაგრამ მეორე ნაწილი, მთელი ხეფინეხევი, რომელიც ათი-თორმეტი სოფლისაგან შესდგება, დიდხანს დარჩება უმეცრების სიბნელით მოცული. მთელს ამ კუთხეში ამ ჟამად ერთი სკოლა არ არსებობს. თუმცა ამ ერთის წლის წინად ორიოდე სამრევლო სკოლა ბჟუტავდა, მაგრამ დღეს აღარც მათი სახსენებელია. იმათი შემხედავი მაინც დიდად ვერაფრით ინუგეშებდა თავს, თუ არ იმ ანდაზის მოგონებით, რომ „იაფი ფასის ხორცი წვენს ვერ გაიკეთებს“ და „ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაეშინჯებაო“.

უმეცრებაა მიზეზი, რომ ხეფინიხევი სათალი დუმაა ყოველ გაიძვერა და მუქთა-მჭამელისათვის. არა ქვეყანაში იმოდენი მოგონილი დღესასწაულები არ არის, როგორც ხეფინიხევში: ვარდობა, ტბეთობა, ოქრონობა, ელიობა, ხალარჯობა და სხ. საყოველთაო დღესასწაულები. ამ სოფლებში ხეფინიხეველების პურადობა ნაქებია მთელს ზემო იმერეთში და ისინიც ცდილობენ ეს საპატიო სახელი შეირჩინონ, გლახა მოსახლე იქნება, რომ, თავისი თუ არა აქვს, სამი-ოთხი თუმნის ნაყიდი პურ-ღვინო არ დახარჯოს ამ დღესასწაულებში. მოახლოვდება თუ-არა რომელიმე ზემოთქმული დღესასწაული, ათას ნაირი წოდებისა და სარწმუნოების მუქთა-ჭამია იყრის თავს ხეფინიხევში. უზომო და უსარგებლო ხარჯების მეოხებით ხეფინიხევში უვალო კაცს ვერ შეხვდებით. ესენი დიდის ხნიდამ შემოსჩვევიან ამ მიყრუებულ სოფლებს და ათას ნაირის გაიძვერაობით, არა თუ წლის მოსავალზე, ბევრს უძრავ-მომძრავ ქონებაზედაც აღებინებენ ხელს. სარგებელს თუმანზე ორ მანეთს მეტს არ იღებენ და ამით კონკურენციას უწევენ იმერელ მოვახშეებს, რომელთაც თუმნის სარგებლად სამი მანეთი აქვსთ გადაწყვეტილი. ცოტანი-კი არიან ჩვენში ისეთნი, რომელთაც გასასესხებელი ფული ეგულებათ. მოვახშენი ვექსილთან პირობას ართმევენ მსესხებლებს, რომლის ძალითაც ფულის ამღებმა შემოდგომაზე სარგებელში ტკბილი უნდა მიუწყოს ორის აბაზის კვალობაზე ჩაფი და, თუ ტკბილი ვერ მისცა, თვითოეულ ჩაფში მანეთი უნდა მისცეს. ამ ანგარიშით თუმნის სარგებელში ფულის ამღებმა ან ხუთი ჩაფი ღვინო უნდა მისცეს, ან ხუთი მ. ფული. თუ ვერც ერთს ვერ შეიძლებს, მაშინ ვექსელი უნდა გამოუცვალოს და თავნიან სარგებლიანად წლის თავზე ახალ სასარგებლო ვალად დაიწეროს. ასეთი უზომო სარგებლის წყალობით ბევრს ორი-სამი თუმანი თავნი ვალი სამოცოთხმოც თუმნად გადაექცა და მთელი მათი უძრავ-მოძრავი ქონება მოვალეების ხელში გადავიდა. ეს საცოდავები ვერც-კი სცნობენ თავის დამღუპველებს და მეგობრულის გულ-ახდილობით უმასპინძლდებიან მათ, როცა ისინი შემოდგომაზე ღვინის მისაღებათ მოფენილნი არიან ხეფინიხევის სოფლებში. ხარაგაულის საბოქაულოში გავრცელებულია ავაზაკობა და ოჯახების აკლება-აწიოკება ეს ორი წელიწადია სრულიად მოისპო. ამას ის სასიამოვნო ამბავიც უნდა დავსძინოთ, რომ ბ-ნ წერეთლის განკარგულებით ყველა სოფლებში ფართო და სწორე გზები კეთდება და ამიტომ აწი აქეთ უშიშრად შეიძლება მისვლა-მოსვლა.

ს. ქ—მე.

ქრისტიანის სისხლისათვის კაცის კვლა

ამას წინად გათავებულმა საქმემ შესახებ მკვლელობისა, რომელსაც რახოვის ებრაელთ აბრალებდნენ და რომელნიც სასამართლომ გაამართლა, ხელ-ახლავ მიიქცია საზოგადოების ყურადღება. პროკურორის თხოვნისა გამო ეს საქმე ხელახლავ განირჩევა და ბრალდებულნი ისევ დააპატიმრეს, რადგანაც კიდევ ახალი საბუთები აღმოჩნდა. თლისით დაკარგული ყმაწვილი ქალი სწორედ იმ ალაგას იპოვნეს, სადაც უკანასკნელად ენახათ ებრაელ ბონბასთან ებრაელთა აღდგომის წინა დღეებში. ბავშვი დანით ყოფილა დაჭრილი და სისხლით დაცლილა.

უცხოეთი

ინგლისი. საზღვარ გარეთის ჟურნალ-გაზეთები ბევრსა სწერენ შესახებ იმისა, მივა თუ არა სტამბოლში რუსეთის ესკადრა, რომელიც ამ ჟამად ბეირუთში იმყოფება. ამბობენ, რუსეთის ესკადრა არამც თუ არ მივა სტამბოლში, არამედ ადმირალი აველანი ვიზიტს არც-კი დაუხდის ფადიშახსაო. მაგალითად „Standard“-ში დაბეჭდილია:

> ადმირალი აველანი სტამბოლს არ წავა. ხოლერის გაჩენამ სტამბოლში კარგი შემთხვევა მისცა ხონთქარს უარი სთქვას რუსეთის ადმირალის მისვლაზე. როგორც ამბობენ, ესკადრა დეკემბერს მივა სალონიკაში და იქ რამდენსამე კვირას დარჩება.

მეორე გაზეთი „Agencede Constantinople“ სწერს:

აქაურ სადიპლომატო წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ადმირალი აველანი სტამბოლს მოვა—და რა თქმა უნდა, ხონთქართანაც მივა სადარბაზოდ. ეს უეჭველია დეკემბრის ნახევარში მოხდება. ადმირალს აველანს ისეთისავე პატივისცემით დაუხვდებიან, როგორც ყველა ადმირალს.

—

გაზეთი „Times“ სწერს კაზიმირ პერიეს შესახებ:

ამ გამოჩენილმა დეპუტატმა მხოლოდ იმიტომ მოიხვეჭა სახელი და დიდი მნიშვნელობა, რომ პარლამენტში ოც-და-ხუთის წლის მოღვაწეობის დროს მუდამ ძლიერ ცოტას ლაპარაკობდა და არც ერთხელ არ ჩაუბარებია თანამდებობა სუბ-სტატს-სეკრეტრის ზევით. კაზიმირ პერიე შთამომავალია საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა და იმ მოღვაწეთა დასს ეკუთვნის, რომელთა სახელიც მოხსენებულია ისტორიაში. იგი ყოველთვის ისე იქცეოდა, რომ ხალხისთვის ეჩვენებინა, ძლიერ კარგი მომავალი მექნებაო. საზოგადოების აზრით კაზიმირ პერიე მეტოქედ გამოუჩნდება კარნოს, პრეზიდენტის არჩევნების დროს, რომელიც თორმეტის თვის შემდეგ უნდა მოხდეს. საფრანგეთში ხმა გავრცელდა, კარნო იმიტომ ჩააცივდა პერიეს, კაბინეტი შეადგინეო, რომ ამით უნდოდა გაექარწყლებინა მისი იმედები პრეზიდენტობისა. თავის მხრივ პერიე უარს ამბობდა კაბინეტის შედგენაზედ, რადგანაც კარგად იცის, რომ საფრანგეთში ძლიერ ძნელია კაბინეტის მეთაურს თუნდ ერთის წლის შემდეგ კიდევ დარჩეს სახელი სახელმწიფო მოღვაწისა. გამბეტამ თავისი თავი დაჰღუპა, როცა პალატის პრეზიდენტობა გასცვალა პრემიერის თანამდებობაზედ; ესევე დაემართა ბრისონს და თვით ფლოკეც პრემიერად რომ არაოდეს არა ყოფილიყო, ეხლა ძლიერ დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა.

გასართობი

ანტონიო გუდარ-ლა-მოტი, განთქმული როგორც თავისის მშვიდის ხასიათითა და პატიოსნებით, ისე ნიჭითა და ჭკუით, სიბერეში დაბრმავდა. ერთხელ ხალხში იყო და ერთს ყმაწვილს კაცს უცაბედად ფეხი დაადგა. ყმაწვილი კაცი მოუბრუნდა და სილა სტკიცა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, უეჭველია ძალიან ინანებთ, რომ შემომკარით, რადგან უსინათლო ვარო, უთხრა ლა-მოტმა.

—

დიაგორი, რომელსაც ღმერთი არა სწამდა, ერთხელ ერთს ხომალდზედ იმყოფებოდა საშინელის ზღვის ღელვის დროს. მეზღვაურნი დარწმუნებულნი იყვნენ, ღმერთი განსაცდელს იმიტომ გვიგზავნის რომ ეს ურწმუნო იმყოფება ჩვენს ხომალდზედაო, და უნდოდათ დიაგორი ზღვაში გადაეგდოთ.

— შეხედეთ სხვა ხომალდებსაო, უთხრა დიაგორმა: აშკარაა ყველა იმათზედ მე არ ვიმყოფები, მაგრამ ისინიც იმ დღეში არიან, რა დღეშიაც ჩვენი ხომალდიო.

—

მარშალი ფაბერი ტულონის ბრძოლაში ფეხში დასჭრეს. მეგობრები ურჩევდნენ, ნება მოგვეცი ფეხი მოგჭრათ, რადგან დოსტაქრები იმ აზრისანი არიან, რომ თუ ფეხი მოგჭერით, სრულიად მორჩებიო.

— არაო, უპასუხა ფაბერმა: მე ნაწილნაწილ სიკვდილი არ შემიძლიან. სიკვდილი ან სულ წამიღებს, ან ვერაფერს გამომრჩებაო.

ფეხის მოჭრაზედ ვერ დაიყოლიეს. მამაცი მარშალი რამდენისამე ხნის შემდეგ სრულიად განიკურნა ჭრილობისაგან და სიარულიც დაიწყო.

უცხოეთის წვრილი ამბავი

სათეატრო გაზეთში დაბეჭდილია წერილი ვას. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოსი შესახებ იმისა, როგორ პოულობენ პარიჟსა და საფრანგეთში შანსონეტკის მომღერალ ქალებს. პარიზში არის ერთი რაღაც „შანსონეტკის კონსერვატორია.“ ამ კონსერვატორიის დირექტორს უთქვამს ზემოხსენებულ წერილის ავტორისთვის:

მე ასობითა მყავს აგენტები პარიზსა და პროვინციებში. დიახ, ასობით. სრული ორგანიზაციაა! ერთის სიტყვით, მაქვს მთელი „სამინისტრო ხელოვნებათა“. ჩემი „მოხელენი“ დადიან პარიზსა და პროვინციებში სახელოსნოებსა და მაღაზიებთან, სცდილობენ გაიცნონ კეთილშობილი და ღარიბი ოჯახები. ნახავენ სადმე ლამაზს და კარგად მოყვანილს ქალსა,—ამისთვისაც ხომ გამოცდილი თვალია საჭირო,—და წამსვე გაუგზავნიან დაბეჭდილ განცხადებას, სადაც სწერია, რომ ვისაც სურს ძლიერ ადვილის შრომით დიდი ფულის მოგება, მიჰმართოს ამა და ამ ალაგას, ამა და ამ კაცსაო, ესე იგი მე! ძნელად თუ ვინმემ გასძლოს. ერთხელ მიიღებს გამოცხადებას, ორჯერ-სამჯერ, რაც უნდა მტკიცე ხასიათის იყოს, მეოცე განცხადებას ველარ გაუძლებს. გაიცნობს აგენტსა, გამოჰკითხავს და იფიქრებს: რა ჭკუაა მართლა-და მართლა, რომ თვეში ორმოც-და-ათ ფრანკად მთელ დღეს მაღაზიაში ვდგევარ მოწყენილი და დაგლეჯილი ფეხსაცმელით დავდივარო. თუნდა მკერვალი ქალიც ავიღოთ, მთელ დღესა შრომობს ლუკმა პურისთვის, მაშინ როდესაც სულ რამდენსამე თვის განმავლობაში ისწავლის...

გამოსადეგი ცნობა

ყივანა-ხველის წამალი. ყივანახველა დიდად შემაწუხებელი სენია ყმაწვილებისა და ძალიანაც ადვილად ედება ბავშვებს. საფრანგეთის ექიმი გერდე ერთს უბრალო საშუალებას გვირჩევს ამ სენის წინააღმდეგ. ეს საშუალება ის არის, რომ ცხვირის ნესტოებში ყმაწვილს უნდა შეუბეროს ფხვნილი. ეს ფხვნილი უნდა შესდგებოდეს ძალიან წმინდად, ფქვილსავით დანაყილ ბორის სიმჟავისა 1) და მოხალულ ყავისაგან. ეს ორივე თანასწორ ნაწილად უნდა იყოს აღებული და ერთად შერეული. ფხვნილი დღეში ორჯელ უნდა შეუბეროს ყმაწვილს ნესტოებში. ზემოხსენებულ ექიმის სიტყვით, ეს წამალი ისე კარგად ჰმოქმედობს, რომ ავადმყოფს რამდენისამე დღის შემდეგ გაუვლის ხოლმე ყივანახველა და ორს კვირაზედ სრულიად რჩება.

პროფესორი გრასსე თავის მხრივ ამავე სენის განსაკურნავად სხვა საშუალებას ასახელებს. იმის სიტყვით, ძალიან ჰშველის ყივანა-ხველის მოსპობას ბენზოის ფისი 2), რომელიც ნუშის საკმელის 3) სახელით ისყიდება. ეს ფისი ძალიან წმინდად უნდა დაინაყოს და ყივანა-ხველით ავადმყოფ ყმაწვილებს ნესტოებში შეუბეროს. ამასთან არ უნდა იქმნას დავიწყებული, რომ ნუშის საკმელი სხვა-და-სხვა ხარისხისაა, ხოლო საუკეთესო-კი თეთრია, დამტვრეულს ნუშსა ჰგავს და ამიტომ ეძახიან ნუშის საკმელს.

სამეცნიერო ნაწილი

შვეიცარიაში აქამდე 25 სხვა-და-სხვა კანონმდებლობაა სისხლის სამართლისა. 1889 წელს შეერთებულმა საბჭომ მიანდო ბერნის პრო-

---

1) Борная кислота.
2) Бензойная смола.
3) Миндальный ладанъ.

ფესორს კარლ შტოოსს შეედგინა მთელის შვეიცარიისთვის სისხლის სამართლის კანონ-მდებლობა. ამას წინად შტოოსმა გამოაცხადა პროექტი ამ კანონმდებლობისა. „Socialpolitisches Centralblatt“-ი ამბობს, რომ ეს პროექტი მეტად შესანიშნავი არის. ავტორს ეტყობა ძლიერ კარგად ესმის აწინდელ ცხოვრების მოთხოვნილებანიო. პროექტი მეტად გარკვევით და მარტივად არის დაწერილი. რაც შეეხება თვით შინაარსს პროექტისას, ავტორი სცდილობს ბთელი კანონმდებლობა დააფუძნოს ცხოვრების პირობებზედ. შტოოსი ამბობს: რადგანაც ყოველ გვარი დანაშაული თვით ცხოვრებით არის გამოწვეული, ამიტომ უნდა ვეცადნეთ, ეს დანაშაული იმ გვარადვე ავიცილოთ თავიდგან, როგორც სხვა რამ უბედურება. დასჯა უკანასკნელი საშუალება უნდა იყოს. ჯერ სხვა ღონისძიებათ უნდა მივმართოთ დანაშაულის თავიდგან ასაცდენად. უპირველესს ყოვლისა ვიზრუნოთ ღარიბთათვის, მათ განათლებაზედ და გონიერად აღზრდაზედ. საყურადღებოა სხვათა შორის ის ღონისძიებანი, რომელიც მიღებულ უნდა იქმნას წინაამდეგ მრავალჯერ დანაშაულობის ჩამდენთა და მცირე წლოვან დამნაშავეთა შესახებ. შტოოსის აზრით, საჭიროა პირველთ რაც შეიძლება მეტი იმუშავონ. ხოლო მცირე წლოვან დამნაშავეთათვის საჭიროა გაიმართოს ზნეობის გამასწორებელი თავშესაფარი.

—

პარიზში დაიბეჭდა ფრანგულ ენაზედ პროფესორის მ. მ. კოვალევსკის მონოგრაფია ოსების ჩვეულებრივ უფლების შესახებ, შემდეგის სათაურით: „Coutumier ossetien, eclairé par l'histoire comparée. Par Maxime Kovalevsky.“

დეპეშა

27 ნოემბერი

პეტერბურგი. ჟურნალს „Рус. Мысль“-ს გამოეცხადა მეორე გაფრთხილება იმ წერილის გამო, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ ჟურნალში სათაურით „სოციოლოგია დამყარებული ეკონომიურს საფუძველზედ“. ავტორი წერილისა სცდილობს სოციალიზმის მავნე მოძღვრების გავრცელებას.

ბერლინი. განზრახვა აქვთ გააუქმონ ის განკარგულება, რომლის ძალითაც აკრძალულ იყო რუსეთიდგან გადმოსახლებულთა გაგზავნა ჰამბურგიდგან.

გერმანიის სავაჭრო ხელშეკრულობათა საგანგებო კომისიამ და მრეწველთა კავშირმა ერთად დაამტკიცეს რეზოლიუცია შესახებ სავაჭრო ხელ-შეკრულობათა. საზოგადო კრება დანიშნულია იანვარში, რადგანაც იმ დროს რუსეთთან ხელ-შეკრულობის პროექტი უეჭველია რეიხსტაგს წარედგინება განსახილველად.

პარიზი. დღეს პალატის კრების დროს მარჯვენა ტრიბუნებიდგან გადმოაგდეს ყუმბარა, რომელიც დარბაზში აფეთქდა. ამბობენ, მოკლულ იქმნა აბბატი ლემირი და ერთი ბოქაული. ყუმბარა სწორედ 4 საათზედ აფეთქდა. ხალხი საშინლად შეშინდა; შეშინებული ქალები გაიქცნენ. რამდენიმე გარეშე კაციც დაიჭრა. დერეფანში ხალხი ძლიერ იყო აღელვებული. დარბაზში დიდი კვამლი იდგა. ამბობენ, ოცამდე დეპუტატი დაიჭრაო; დეპუტატთა უმრავლესობა წამოდგა გასაქცევად. დიუპუი ადგილიდგან არ დაიძრა და სთხოვა ამხანაგებს, თქვენც ნუ დაიშლებითო, და ისინიც ასე მოიქცნენ.

28 ნოემბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭო ამ მოკლე ხანში შემდეგ საქმეებს განიხილავს: კვლავ დარჩეს თუ არა ძალაში ის კანონი, რომლითაც სადამოჟნო ბაჟი ადევს ქაღალდის ფულსა; გადადებულ იქმნას ფული 1884 წლისთვის სოფლის მცხოვრებთა მიწის მფლობელობის განწესიერებისთვის; მოემატოს ფული ქალაქებისა და სოფლების სამღვდელოების შესანახად.

გუშინ დაიწყო საგანგებო კრება რკინის გზათა წარმომადგენლებისა. კრებამ უნდა შეასწოროს ტარიფები ჰაჭის არაყისა.

პარიზი. ყუმბარა ტრიბუნასთან აფეთქდა; ყუმბარის ნაჭრები მთელს დარბაზს მოეფინა. იპოვნეს რკინისა და ტყვიის ნაჭრები; კვესტორებმა ყველა კარები ჩაჰკეტეს. ამბობენ, რომ თვით დამნაშავეს, მაღალს, ქერა კაცს, ყუმბარამ მარჯვენა ხელი მოსწყვიტაო; ვინც ხელშია დაჭრილი, ყველას მეტად ადევნებენ თვალ-ყურსა; პალატაში 60 კაცამდე დააპატიმრეს. დიდი ეჭვი აქვთ შამპოზედ, (ხარაზია), რომელიც ეხლა ხან მივიდა პარიზში. შამპო რომ დააპატიმრეს, ძლიერ შეკრთა. დაპატიმრებულთა შორის ქირარიც ერია. როცა მიჰყავდათ, ვილაცამ დაიძახა ხალხში: „ეხლა კი დაგიჭირესო“. პოლიციამ ერთი კაცი კიდევ დააპატიმრა. დაჭრილია 50 კაცამდე. მათ-შორის უმრავლესობა ძლიერ სუბუქად არის დაჭრილი. ლათინთა უბანში სტუდენტებმა მანიფესტაცია გაჰმართეს და ჰყვიროდნენ: „მოგვაშორეთ ანარქისტები“. ბურბონის სასახლის ყველა თავისუფალი ოთახები დროებით ქსენონად გადააქციეს. ექვსი საეჭვო კაცი აფეთქების შემდეგ ბუფეტში შევარდა და გასავალს ეძებდნენ. ამბობენ, ყუმბარა ლენუარმა ააფეთქაო. პალატიდგან ეხლა არავის უშვებენ უიმისოდ, რომ თითოეულის ვინაობა არ შეიტყონ.

პარიზი. მინისტრებს ბჭობა ჰქონდათ იმის, შესახებ რა ღონისძიებანი უნდა იქმნას მიღებული, რათა საზოგადოება დაიფარონ ანარქისტთა ბოროტ-მოქმედებისაგან.

პალატაში ბოროტ-მომქმედი გამოტყდა და აღიარა: სახელად ვალიანი მქვიან და 1861 წელს დავიბადე მეზირშიო. მისი ვინაობა უკვე შეიტყეს. ვალიანი რევოლიუციონერია; რამდენიმე თთვეა, რაც პარიზში დასახლდა და პოლიციის მხედველობის ქვეშ იმყოფებოდა.

პეტერბურგის ბირჟა, 16 ნოემბ.

	მყიდველისა.	გამყიდველისა.	გაყიდულისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო	$7_{,65}$	$7_{,65}$	— ,,
ტამოჟნის კუპონები	$152^3/_4$	$153^1/_2$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული	— ,	— ,,	— ,,
$5^0/_0$ პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი	— ,,	— ,,	$245^5/_8$
—მეორისა		— ,,	$222^1/_2$
$4^0/_0$ მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	$190^3/_4$
გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
$6^0/_0$.	100	— ,,	— ,,
$5^0/_0$.	— ,,	99	— ,,
ქუთაისის ბანკისა $6^0/_0$.	100	— ,,	— ,,
$5^0/_0$.	— ,,	99	— ,,
$5^0/_0$ ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	$97^1/_2$	— ,,	— ,,

რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—

განცხადებანი

ტფილისის პოლიცმეისტერი სთხოვს მობრძანდეს, ვინც შარშან ორი წყვილი საყურე დაჰკარგა ტფილისში და მიიღოს თავისი დანაკარგი. საჭიროა მხოლოდ წარმოადგინოს საბუთები, რომ ის დანაკარგი სწორედ იმისია.

(3—1)

გამოსადეგვ ცნობანი

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10¹/₂ საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10¹/₂—11¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11¹/₂—12¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ექიმი—ქალი ა. მ. ტურბოვიჩი 12¹/₂—1 საათამდის, სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1¹/₂ საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: გულ-მკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. გურკო, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი) და ვენერიული.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7¹/₂ საათამდის.

ქ. ი. ფრანციუსი, 7—7¹/₂ საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიც აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

„ჩ ი კ ა გ ო“

წინანდელი სასტუმრო „დ ა ნ ი ა“ გადავიტანე 1 ოქტომბრიდგან 1893 წ. მოსე არუთინოვის სახლში, კადეტის კორპუსთან, გოლოვინის პროსპექტის ახლო, ქალაქის შუაგულს, სადაც დავაარსე ახალი **მოწყობილი ოთახები** სახელად „**ჩიკაგო**“

ყველა ოთახები მშვენიერად არის მოწყობილი. სამაგალითო სისუფთავეა. მოსამსახურე ზრდილობიანია და სწრაფი. ყველაფერი წესიერია.

ფასი ოთახებისა

დღიურად 3 აბაზიდგან—3 მანეთამდე, თვიურად და წლობით ბევრით იაფად.

ნ. კოსკანოვი

(25—1018—21)

СОЧ. ДОСТОЕВСКАГО

„НИВА“

БЕЗПЛАТНОЕ ПРИЛОЖЕНІЕ НА 1894 Г. ПРИ ЖУРНАЛѢ

подписчики „НИВЫ“ на ЮБИЛЕЙНЫЙ 1894 г. получатъ:
52 №№ журнала "НИВА" (до 1500 столбцовъ текста и 500 гравюръ).
12 КНИГЪ соч Ѳ. М. ДОСТОЕВСКАГО.
12 ВЫПУСКОВЪ »Ежемѣсячныхъ литературныхъ приложеній».
12 №№ „Парижскихъ модъ“ (съ 300 модн. рис. въ годъ).
12 №№ рукодѣльныхъ и выпильныхъ работъ и выкроекъ (съ 600 рисунк. и чертежами въ теченіе года).
2 ОФОРТА профессора Ив. Ив. Шишкина.
КАРТИНА проф. Ю. Ю. Клевера ‹Островъ Наргенъ», отпечатан. 15 красками.
КАРТИНА художника Расмуссена „Нерофіордъ въ Норвегіи“, отпечатан. 18 красками.
СТѢННОЙ КАЛЕНДАРЬ, отпечатанный красками.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА
За годовое изданіе
„НИВЫ“
со всѣми приложеніями:
безъ доставки въ С.-Петербургѣ 5 р.
съ доставкою въ С.-Петербургѣ . . . . . . 6 р. 50 к.
безъ доставки въ Москвѣ чр. конт. Н. Печковской . . . . 6 р.
съ пересылкою иногороднымъ 7 р.
За границу . . . . . 10 р.

Съ требованіями обращаться въ ГЛАВНУЮ КОНТОРУ журнала „НИВА“, СПБ., Невсій пр. № 6.

Допускается разсрочка платежа въ 2 и въ 3 срока

Доз. ценз. Тифлисъ, 27-го Ноября 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე